



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის დეპარტამენტი

ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის კათედრა ჩამოყალიბდა 1935 წელს, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/ს ინსტიტუტის და ქალაქის ფიზიოთერაპიული საავადმყოფოს ბაზაზე . კათედრის დამფუძნებელი და მისი პირველი გამგე იყო პროფ. ი. კონიაშვილი. მომდევნო პერიოდში კათედრის გამგეები იყვნენ პროფ. დ. ჯავახიშვილი (1938-1959 წწ), პროფ. გ. წითლანაძე (1959 -1974 წწ), პროფ. რ. ჩხეტია, პროფ. მ. დგებუაძე (1974-2005წწ), პროფ. ნ. კაკულია (2005 წ. – დღემდე).

კათედრა 2006 წლამდე მუშაობდა, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის (შემდგომში თბილისის სახ. სამედიცინო აკადემიის) შემადგენლობაში ხოლო 2006 წლიდან მუშაობა განაგრძო თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის კურორტოლოგიის დეპარტამენტის სახელწოდებით. 2007 წლიდან დეპარტამენტი შედის თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის შემადგენლობაში (დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. ნ. კაკულია). 2009 წელს კი აღნიშნულ დეპარტამენტს დაემატა ახალი - სამკურნალო ტურიზმის მიმართულება, რომლის სრულ პროფესორად არჩეულ იქნა აკად. ნ. სააკაშვილი.

კურორტოლოგიაში და ფიზიოთერაპიაში სპეციალიზაციისა დახელოვნების ციკლებზე კათედრაზე მომზადდა 5000-მდე ექიმი. კათედრის შესაძლებლობების და ავტორიტეტის ზრდამ განაპირობა ის, რომ აქ მომზადებას გადიოდნენ ექიმები ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი თითქმის ყველა რესპუბლიკიდან. ჯერ კიდევ 70-იან წლებში კათედრის მიერ შემუშავებულ და შედგენილ იქნა კურორტოლოგიაში თემატური დახელოვნების ორი

სასწავლო პროგრამა (კურორტოლოგი-კარდიოლოგებისა და კურორტოლოგ-გასტროენტეროლოგებისათვის), რომლებიც დამტკიცებულ იქნა საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ და რომლითაც ხორციელდებოდა ექიმ მსმენელთა მომზადება უნიფიცირებულად მთელს საბჭოთა კავშირში.

2004 წლიდან კათედრის თანამშრომელთა მიერ შედგენილ იქნა უწყვეტი სამედიცინო განათლების და პროფესიული რეაბილიტაციის 14 პროგრამა.

პროფ. ნ. კაკულიას მიერ შედგენილ იქნა ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის (შემდგომში ფიზიკური მედიცინის და კურორტოლოგიის; ფიზიკური მედიცინის, რეაბილიტაციის და კურორტოლოგიის) დარგის სარეზიდენტო პროგრამა, რომლითაც ყოველწლიურად მზადებას გადიან დარგის რეზიდენტები (მომზადებულია 12 რეზიდენტი)

2003 წელს კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბებულ იქნა საქართველოს ფიზიოთერაპევტთა ასოციაცია, რომელიც 2009 წ. ევროპის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ასოციაციის წევრი გახდა.

კათედრის არსებობის მანძილზე მისი თანამშრომლები ეწეოდნენ აქტიურ სამეცნიერო მუშაობას; მათ მიერ შესრულებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია შრომათა კრებულებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების მასალებში, ჟურნალებში. კათედრის თანამშრომელთა მიერ გამოცემულია 12 მონოგრაფია; დაცულია 3 სადოქტორო და 9 საკანდიდატო დისერტაცია; გამოგონებისავის მიღებულია 1 საავტორო პატენტი (N 1547926, 8.11.89 წ.). მოწოდებულია 9 რაციონალიზატორული წინადადება, შემუშავებულია მეთოდური რეკომენდაციები.

ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის დეპარტამენტი ახორციელებს სწავლებას დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ საფეხურებზე. დიპლომამდელი განათლების პროგრამა განკუთვნილია მედიცინის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის და საექთნო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის .